ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"

საფუძველი: 12/13301180-16 28.10.2013წ.

მისამართი: ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს.

საკ.კოდი: 01.14.17.001.018

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – 01/2536 29.08.2011წ.

მშენებლობის სანებართვო მოწმობა – ნ/2668-1 29.08.2011წ.

ფუნქციური დანიშნულება: ამერიკული აკადემიის საშუალო სკოლის კომპლექსის „ა" ბლოკი (IV კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (28.10.13) დადგინდა:

ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი ფანჯრის, ვიტრაჟის, და კარის ნახატი, ასევე შეცვლილია გაბარიტებიც, ზოგი დამატებულია და გადაადგილებულია. კედლებზე ზოგ ადგილას დამატებულია აგურით მოპირკეთება, ხოლო ზოგან გაუქმებულია. შეცვლილია გარე კიბეების ფორმა, ზოგიერთი გაუქმებულია და დამატებულია. წინა მხარეს გაუქმებულია პანდუსები. ფანჯრებზე დამატებულია მოაჯირები. შენობის ძირში ზოგიერთ ადგილას შეცვლილია დონე.

ფასადი K-A ღერძებში: +3.90 ნიშნულზე A-B მონაკვეთში გაუქმებულია აივანი.

ფასადი 13-1 ღერძებში: 11-9 მონაკვეთში გაზრდილია კედლების გაბარიტები და გადაადგილებულია, ასევე შემცირებულია გზის სიგანე.

გვერდით ფასადების მხარეს გაზრდილია ორი დაბალი კედლის სიგრძე.

შენობის შიგნით -2.80 დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო დამაკავშირებელი გვირაბები. +0.00 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში პანდუსები მობრუნებულია და მათ თავზე შეცვლილია ფილის ღიობის კომფიგურაცია. მეორე სართულზე 3-9 მონაკვეთში G-G და B-B ღერძებთან შემცირებულია მეორე სინათლის ღიობის სიგანე. +7.50 ნიშნულზე გაზრდილია კოლონების გაბარიტი, შემცირებულია გადახურვის სიგრძე 20 სმ-ით. სახურავზე შეცვლილია გამწოვი შეხტები, დამატებულია ჩილერები და დანადგარები.

ღობის ნაწილი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან.

ვ.ამისულაშვილი

გ.გეგელაშვილი